*ნანა რუხაძე*[1]

# ქორწინების კონსტიტუციური საფუძვლების ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ ცვლილების პრობლემატიკა

*,, ბევრი კანონი არსებობს ქვეყნად, მაგრამ მე მწამდა ერთი კანონი: თავისუფლების და სიყვარულის''*

*ოთარ ჭილაძე*

**აბსტრაქტი**

უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს წყვილთაშორისი სამართლებრივი კავშირები. ქორწინებას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. მოცემული სახის ურთიერთობით წარმოიქმნება მთელი რიგი ქონებრივი თუ პირადი არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები. ქორწინება ინდივიდს აძლევს საკუთარი ურთიერთობის სამართლებრივი სტატუსის საზოგადოებრივი აღიარების მყარ ბერკეტებს და სადავო არაა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი მექანიზმია სოციუმის ფართო მასებისათვის. სწორედ მოცემული საკითხის არასტანდარტულ ჭრილში განხილვას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. ამ თემის მიჯნაზე საკმაოდ აქტუალურია განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანების სოციალური სტატუსი და მათი ასიმილაციის პრობლემატიკა. თანასწორობა საქართველოში კონსტიტუციურად აღიარებული უმნიშვნელოვანესი უფლებაა. კანონმდებელმა ამ ქმედებით არამარტო პირდაპირ შეზღუდა ერთსქესიანთა ქორწინება, არამედ საფუძველი გამოაცალა მომავალში საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული იმავე განმარტების კონსტიტუციურობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებას. ამრიგად, მოცემული ნოვაცია მორიგი მკაფიო ხაზგასმაა იმისა, რომ საქართველო ამ ეტაპზე არავითარ მზაობას არ უცხადებს ისეთი მნიშვნელოვანი და ახალი ინსტიტუტის ინკორპორირებას, როგორიცაა ერთი სქესის მქონე მოქალაქეთათვის ქორწინების უფლების მინიჭება. სწორედ ხსენებული საკითხის ანალიზსა და კანონმდებლის რეალური მიზნების განხილვას ემსახურება წინამდებარე ტექსტის მეორე თავიც.

**საკვანძო სიტყვები:** *ქორწინების უფლება, საკონსტიტუციო სასამართლო, უმცირესობები.*

---

[1] თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი, rukhadzenana12@gmail.com.

## Abstract

Legal relations between couples have played an important role in public life since ancient times. Marriage as a legal institution has a multifaceted impact. A number of property or personal non-property rights and duties arise with this type of relationship. Marriage provides an individual with strong levers of public recognition of the legal status of their relationship, and there is no doubt that this is a very important mechanism for the broad masses of society. This paper aims to discuss this issue in a non-standard way.

On the edge of this topic, the social status of people with different orientations and the problem of their assimilation are quite relevant. Equality is the most important constitutionally recognized right in Georgia. With this action, the legislator not only directly limited same-sex marriage but also cleared the ground for questioning the constitutionality of the same definition in the Civil Code of Georgia in the future. Thus, this novation is another clear emphasis that our state at this stage is not ready to incorporate such an important and new institution as granting the right to marry to citizens of the same sex. The second chapter of this text also serves the analysis of the mentioned issue and discussion of the real goals of the legislator.


**Keywords**: *Right to marriage, Constitutional Court, minorities.*

## *შესავალი*

ქორწინება ის მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც საკუთარ აქტუალობას არასოდეს კარგავს. ესაა ურთიერთობის სტაბილიზაციის საშუალება, რომელიც წინ უძღვის თანაცხოვრებისას წესრიგისა და მყარი კავშირების ჩამოყალიბებას.[2] ქართულ რეალობაშიც წყვილთა სამართლებრივ შეკავშირებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთათვის, წინამდებარე ნაშრომში დეტალურად იქნება გაანალიზებული ზოგადად ქორწინების, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა, განხილული იქნება თანამედროვე ქორწინების და ზოგადად ოჯახის ცნებებს შორის ურთიერთმიმართება. ასევე მკითხველი გაანალიზებს და დეტალურად გაეცნობა ყველა იმ შესაძლო სარგებლის მიუღებლობის პრობლემატიკას, რომელსაც რიგითი ჰეტეროსექსუალი მოქალაქეებისგან განსხვავებით ვერ იღებენ ჰომოსექსუალი წყვილები მხოლოდ იმის გამო, რომ მართ კანონიერი ქორწინების უფლება არ აქვთ მინიჭებული. ხაზგასმული იქნება ზოგადად ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის, მათი, როგორც საზოგადოებრივი უმცირესობის ხვედრითი წილის გამომწვევი მიზეზები. ნაშრომის

[2] A. Stroll, "A Defense of Same-Sex Marriage." *Public Affairs Quarterly*, vol. 23, no. 4, 2009, pp. 346, http://www.jstor.org/stable/40441540. Accessed 30 Apr. 2022.

მთავარ ორიენტირს წარმოადგენს 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის- სამოქალაქო კოდექსში არსებული ქორწინების უფლების მქონე სუბიექტების, ქალისა და კაცის, კონსტიტუციის 30-ე მუხლში გადატანისა მოცემული დათქმის გამყარების მიზნების სამართლებრივი და სოციალური ანალიზი. ,,დემოკრატიული საზოგადოება თავისუფალი ინდივიდებისაგან შედგება. ამ საზოგადოებაში კონსტიტუციური სამართლებრივი წესრიგის უპირველესი ამოცანაა პიროვნების თავისუფლების, მისი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა. თავისუფალი ინდივიდების საზოგადოება არის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხერხემალი, მისი წარმატებული განვითარების აუცილებელი წინაპირობა და გარანტია. ”[3] ქართველი კანონმდებლის მიერ აღებული გეზი კი პირდაპირ თელავს ლგბტ თემის წარმომადგენელთა საუკეთესო ინტერესთა სპექტრს, დემოკრატიული და თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს ფუნდამენტურ ღირებულებს და ძირს უთხრით ყველა იმ შესაძლო დავის არსებობის პერსპექტივას, რომელთა ადამიანის უფლებების სასიკეთოდ გადაწყვეტაც ქართულ საზოგადოებრივ მენტალობას კიდევ უფრო დახვეწდა და განავითარებდა. ამრიგად, მოცემული ტექსტის მიზანია ქართულ კანონმდებლობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად ფესვგადგმული პრობლემებისა და ხარვეზების დანახვა, გაანალიზება და შეფასება. ასევე მათი გამოსწორებისათვის სწორი, შესაფერისი და ეფექტური გზების ძებნა.

## *1. ქორწინება, როგორც სამოქალაქო სამართლის სოციალურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი*

თურქული წარმოშობის ტერმინი ,,ოჯახი“ სახლს, კერას ნიშნავს. ოჯახი სოციოლოგიური გაგებით ის ინტერესთა ერთიანობისა და ურთიერთზრუნვის მიზნით პირთა ქორწინებაზე, ბავშვთა აღზრდასა და ნათესაურ კავშირებზე დაშენებული ცნებაა, რომელშიც ერთმანეთს მჭიდროდ ერწყმის ბიოლოგიური და მატერიალურ-ეკონომიკური საწყისები [4]. სამართლებრივი აღქმით კი ოჯახი მისი წევრების იურიდიული კავშირია. საოჯახო ურთიერთობებს სწორედ სამართლებრივი ნორმები ანიჭებს იურიდიულ ბუნებას.[5] გარკვეული სახის დიფერენციაცია ქორწინების მხარეების მიერ შეთავსებულ როლებს შორის საფუძვლებს პოულობს ურყევ

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II.პ.1

[4] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2017, გვ 11.

[5] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2017, გვ 13.

კულტურულ რწმენაში მასკულინობისა და ფემინურობის შესახებ. [6] ზოგადად ქორწინების პოზიტიურ სამართლებრივ ასპექტებში უნდა გამოვყოთ შემდეგი: 1. ოჯახური მდგომარეობის მიხედვით მინიჭებული კანონიერი უფლებები და მოვალეობები, 2. ქორწინება , როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო ინსტიტუტი. 3. ერთგული და ხანგრძლივი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება.[7] ქართულმა სამართალმა გვერდი აქცია მზარდ თანამედროვე დასავლურ ტენდენციებს და სამოქალაქო კოდექსში გააკეთა შემდეგი დათქმა: ,,ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში''[8], ამდენად ქართველმა ნორმათშემოქმედმა შეგნებულად თქვა უარი ქორწინებისა და ოჯახის ცნების გაფართოვებაზე და ის არ გაავრცელა ჰომოსექსუალი წყვილების მიერ შექმნილ სოციალურ კავშირებზე. [9] სამწუხაროდ, სწორედ ეს მიდგომა გაამყარა და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა კანონმდებლის მიერ აღებულ გეზს 2017 წელს განხორციელებულმა ძირეულმა საკონსტიტუციო ცვლილებამ. ჯერ კიდევ ადრეული 1970-იანი წლებიდან ლიბერალებმა დიდ გამოწვევად მიიჩნიეს ქორწინების ინსტიტუტისათვის მემკვიდრეობით მინიჭებული შეზღუდვები. აქტივისტებმა საკუთარი არგუმენტაცია დააშენეს იმ შესაძლო ბენეფიტებს, რომლებსაც მომავლის პერსპექტივებში მიიღებდნენ მარგინალიზებული ლგბტ თემის წარმომადგენლები. [10] მართალია, ჭეშმარიტი თანასწორობის უმაღლესი ასპექტების ეტაპობრივი აღიარება ნებისმიერი განვითარებადი სოციუმისთვის ჯანსაღი პროცესი უნდა იყოს, თუმცა ცალკეულ საზოგადოებრივ ჯგუფებში ერთსქესიანთა ქორწინების აღიარება დიდი უთანხმოების გამომწვევ რევოლუციურ მოვლენადაა აღქმული. [11] სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეშიც კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საზოგადოებისთვის რთულია ერთი სქესის წარმომადგენელთა წყვილად აღქმა. გეი და ლესბოსელი წყვილის საჯარო მოკლევადიანი გამოჩენა, განსაკუთრებით შვილთან ერთად, სოციუმის

[6] N. Steven L, "Time and Gender in Marriage." *Virginia Law Review*, vol. 86, no. 8, 2000, p. 1973, https://doi.org/10.2307/1073834. Accessed 29 Apr. 2022.

[7] S. Brook, "Re-Thinking Civil Unions and Same-Sex Marriage." *The Monist*, vol. 91, no. 3/4, 2008, pp. 578–605, http://www.jstor.org/stable/27904099. Accessed 3 May 2022.

[8] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1106-ე მუხლი.

[9] გ.რუსიაშვილი, თ. ბიგვავა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი VII , საოჯახო სამართალი, თბილისი, 2021, გვ 3.

[10] M. BERNSTEIN, "SAME-SEX MARRIAGE AND THE FUTURE OF THE LGBT MOVEMENT: SWS Presidential Address." *Gender and Society*, vol. 29, no. 3, 2015, p. 323-324 , http://www.jstor.org/stable/43669974. Accessed 29 Apr. 2022.

[11] P. CHARLES, JR. KINDREGAN,"THE EVOLUTION OF SAME-SEX MARRIAGE." *Family Advocate*, vol. 32, no. 3, 2010, p. 8–9, http://www.jstor.org/stable/25806836. Accessed 29 Apr. 2022.

სხვადასხვა ფენებში იწვევს იმ ჰეტერონორმატიულობის დესტაბილიზაციას, რომელიც ჰეტეროსექსუალ წყვილებს მუქთად აქვთ.[12] ერთი სქესის მქონე პირთა სამართლებრივი კავშირის მიუღებლობის ფუნდამენტური წინაპირობაა ქორწინების ძირითადი საფუძვლების ისტორიული ხაზგასმა, კერძოდ მისი პირდაპირი კავშირი რელიგიასთან. თუმცა ამის საპირწონედ უნდა ითქვას, რომ სამართლებრივ ჭრილში კანონისმიერი ქორწინება ესაა ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურად მნიშვნელოვანი სამოქალაქო ინსტიტუტი, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქეთა სოციალურ საჭიროებებზე და მრავალ ასპექტში ბევრი სარგებელი მოაქვს მათთვის, [13] გარდა ერთსქესიანთა ქორწინების მიუღებლობის რელიგიური საფუძვლებისა ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო მასების კონსერვატული ბუნება. საწყისი პრობლემაა შეურყეველი სიამაყე და ცრურწმენა იმის შესახებ რომ ახლის , რადიკალურად განსხვავებულის შეწყნარება დამანგრეველ შედეგებამდე მიგვიყვანს. [14] ამდენად, სასურველია ყველა მოქალაქემ გაითავისოს, რომ სამოქალაქო ქორწინება უფრო მეტია ვიდრე პირთა რელიგიური კავშირი, ეს არის სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთათვის შექმნილი და შეთავაზებული უფლება,[15] რომელიც ყველასთვის თანაბარზომიერად უნდა იქნას მიწოდებული.

## 2. *ქართველი კანონმდებლის მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილება და მისი მიზნები*

ბევრი ქვეყნის პრაქტიკაშია დანერგილი ერთი სქესის მქონე ინდივიდთათვის ქორწინების უფლების სასამართლოსმიერი მინიჭება, თუმცა, ცალსახაა, რომ უმჯობესია ეს ნაბიჯი თავდაპირველად სახელმწიფოს მიერ იქნას გადადგმული ( მაგალითად, ისევე როგორც დანიაში).[16] დღითიდღე იზრდება იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებიც საკუთარ კანონმდებლობაში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზებას ახდენენ, ამის ფონზე კი საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები საზოგადოების მენტალური პროგრესირების შეფერხების ,ნამდვილად, სამწუხარო და არასახარბიელო

---

[12] M. BERNSTEIN,"SAME-SEX MARRIAGE AND THE FUTURE OF THE LGBT MOVEMENT: SWS Presidential Address." *Gender and Society*, vol. 29, no. 3, 2015, p. 323, http://www.jstor.org/stable/43669974. Accessed 29 Apr. 2022.

[13] P. CHARLES, JR. KINDREGAN,"THE EVOLUTION OF SAME-SEX MARRIAGE." *Family Advocate*, vol. 32, no. 3, 2010, p. 8–9, http://www.jstor.org/stable/25806836. Accessed 29 Apr. 2022.

[14] G. Jeffrey Gibson,. "To Love, Honor, and Build a Life: A Case For Same-Gender Marriage." *Human Rights*, vol. 23, no. 3, 1996, p. 24, http://www.jstor.org/stable/27879994. Accessed 30 Apr. 2022.

[15] A. Rajczi. "A Populist Argument for Legalizing Same-Sex Marriage." *The Monist*, vol. 91, no. 3/4, 2008, p. 476, http://www.jstor.org/stable/27904095. Accessed 3 May 2022.

[16] G. Jeffrey Gibson,. "To Love, Honor, and Build a Life: A Case For Same-Gender Marriage." *Human Rights*, vol. 23, no. 3, 1996, p. 24, http://www.jstor.org/stable/27879994. Accessed 30 Apr. 2022.

ნიმუშია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ კონსტიტუციას მე-15 და 30-ე მუხლებით დაცული სფეროები. 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილების შემდგომაც ჩამოყალიბებული მეთხუთმეტე მუხლის შინაარსი უფრო ზოგადი ხასიათისაა ის იცავს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის საზოგადოების ნებისმიერი წევრის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარებისა და მისი ღირსების დაცვის წინაპირობა. პირადი ცხოვრების თავისუფლების ქუდ ქვეშ უნდა მოვიაზროთ ინტიმური ცხოვრების დაცულობა, ინდივიდის უფლება და შესაძლებლობა განავითაროს ურთიერთობები როგორც სხვა ადამიანებთან, ასევე გარე სამყაროსთან და სხვა.[17] აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციის ძველ რედაქციაში მთლიანად ქორწინება და ოჯახური ცხოვრება ასოცირდებოდა და ამ უფლებებს იცავდა 36-ე მუხლი.[18] განხილული ნორმის ძველ რედაქციაში პირველი პუნქტი ადგენდა, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სწორედ ეს დათქმა შეცვალა კანონმდებელმა და 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებებს შორის მოაქცია ქორწინების ცნების კონკრეტიზება, კერძოდ, მიღებულ იქნა ადამიანის უფლებების გამაუარესებელი გადაწყვეტილება, ქორწინების მხარეებად კონსტიტუციაშიც ჩაიწერა: ქალი და მამაკაცი.[19] როგორც ზემდგომ თავში აღინიშნა, მსგავს დათქმას ისედაც აკეთებს სამოქალაქო კოდექსი, მაშასადამე, ჩნდება ლოგიკური კითხვა, რაში დასჭირდა კანონმდებელს კონსტიტუციაში განხორციელებული ეს ცვლილება? ცალსახაა, რომ აღნიშნული მოდიფიცირება მიზნად ისახავს ერთი სქესის მქონე პირთა ქორწინების გამორიცხვას, მეტიც, კონსტიტუციური ცვლილების ავტორებს არც ის დაუმალავთ, რომ მოცემული სიტყვებით თამაშის უშუალო მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხის დაყენების შემთხვევაში მისი არაკონსტიტუციურად ცნობის მაღალი და რეალისტური პერსპექტივა.[20] სავარაუდოდ, მოცემულ ცვლილებას ბიძგი მისცა 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში შესულმა საქმემ, საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილი ითხოვდა სწორედ სსკ-ის 1106-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას იმდროინდელი კონსტიტუციის 36-ე მუხლთან შეუსაბამობის საფუძვლით, მოქალაქე თავის სარჩელში აპელირებდა სწორედ

---

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის N1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II.პ.5;

[18] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ. 210.

[19] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ.302.

[20] იქვე.

იმაზე, რომ ნორმაში გაკეთებული დათქმა ქალისა და მამაკაცის შესახებ ერთი სქესის მქონე პირებისადმი იყო დისკრიმინაციული, მისი არგუმენტი იყო ისიც, ,,რომ მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი ურთიერთ თანაცხოვრების ლეგალური რეგისტრაციის უფლება შემდგომი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებების აღიარებისა და იმპლემენტაციისათვის''. საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემული საქმე არსებითად განსახილველად არ მიიღო. [21] ამდენად, განხილულმა რეფორმამ გააქრო მოცემული ნორმების პოზიტიურად საზოგადოებრივი საჭიროებისამებრ ცვლილების ყველანაირი შესაძლო ბერკეტი. იმ რეალობაში, სადაც სამყაროს ყველა პროგრესირებადი საზოგადოების უპირველესი ორიენტირია ინდივიდი, მისი ღირსება, ხელშეუხებლობა, თავისუფალი განვითარება, რეალობაში ,სადაც ადამიანის უფლებები უმაღლეს რანგშია აყვანილი, განსაკუთრებით წინაა წამოწეული უმცირესობათა უფლებრივი ასპექტების გაფართოვება და მათი მაქსიმალური საზოგადოებრივი ასიმილაცია, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ეს ცვლილება მეტად არასასურველ სიახლეს წარმოადგენს. ეს ნამდვილად არის კონსტიტუციური რეგრესის სამწუხარო შემთხვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით ,მართალია, არ იკვეთება ის ფაქტი, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება, ანუ საქართველოს რეალობაში კონსტიტუციის 12-ე მუხლი, რომელიც იცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, სულაც არ ავალდებულებს ქართველ ნორმათშემოქმედს პირდაპირი და უხეში ნაბიჯებით მოცემული სიახლის დანერგვას, თუმცა ასეთი უფლების აღიარების ვალდებულების არარსებობა როდი აძლევს კანონმდებელს მისი კონსტიტუციურად აკრძალვის ლეგიტიმაციას.[22]

სექსუალური ორიენტაცია ნებისმიერი ადამიანის იდენტობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა თანაბრად დაიცვას თითოეული მოქალაქის ღირსება, თანასწორობა და თავისუფლება ისე, რომ არ მოხდეს მათი სხვადასხვა ნიშნით დიფერენციაცია. ზოგადად ჰომოსექსუალების უპატივცემულობას, მათი არათანასწორუფლებიანობის ხაზგასმას ემსახურება კონსტიტუციაში ქორწინების სუბიექტების სქესის კონკრეტიზაცია. ეს ქმედება ნამდვილად ადასტურებს იმას, რომ ჯერ კიდევ ვერ გადაწონა ქორწინების სამართლებრივმა მნიშვნელობამ მისი ისტორიული შინაარსი და ტრადიციული დატვირთვა. [23] მართალია, მოცემული ცვლილებით გამოიკვეთა ხელისუფლების

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N 2/11/714 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე-გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტისა წინააღმდეგ, I.პ.8,9;

[22] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ.303.

[23] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ 304.

დამოკიდებულება და სურვილი ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივების ვიწრო ტრადიციულ ჭრილში მოქცევისა, თუმცა ეს ვერ წაართმევს ერთი სქესის მქონე პირებს არაფორმალური ოჯახური გარემოს შექმნის უფლებას. 30-ე მუხლი ვერ დააკორექტირებს 15-ე მუხლით დადგენილი ოჯახის ცნების დიაპაზონს[24] ოჯახური ცხოვრების ინტერესი ევროპული კონვენციის მერვე მუხლით დაცული სიკეთეა [25] , მოცემულ ნორმას ოჯახის ცნება მხოლოდ ქორწინებით დაფუძნებულ ურთიერთობებამდე როდი დაყავს, არამედ ის მოიცავს იმ სოციალურ კავშირებსაც, რომლებშიც წყვილები რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ცხოვრობენ.[26] ამდენად, გამოდის, რომ მოქმედი კონსტიტუციის 30-ე მუხლი გარანტიებს უქმნის ზოგადად ქორწინების ინსტიტუტს, კერძოდ, ის მიუთითებს ქორწინების ზოგად მიზანზე , წყვილმა შექმნას სტრუქტურულად მყარი სოციალური კავშირი-ოჯახი, თუმცა ამ მუხლის ინტერესი აღარაა ზოგადად ოჯახის ცნებისა და მისი ფარგლების რეგლამენტაცია. როგორც ვახსენეთ ეს ბერკეტები კონსტიტუციის 15-ე მუხლს გადაებარა, სწორედ ეს ნორმა იძლევა მკაფიო პასუხებს ოჯახური ცხოვრების დაცვის მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ფარგლებზე.[27]

ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა პირის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისა თუ კატეგორიისადმი კუთვნილებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად კვლავ სასურველია მომავლის პერსპექტივებში არსებობდეს პოტენციური დავის შესაძლებლობა, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში გადაწყდება თანასწორობისა და ღირსების ფუნდამენტური პრინციპების კვალდაკვალ. ზოგადად კონსტიტუციის საყრდენ პრინციპს-დაცულ იქნას ინდივიდის თავისუფლება, არ უნდა აფერმკრთალებდეს საზოგადოების ფართო მასების განწყობა, ტრადიციები თუ მყარად ფესვგადგმული რელიგიური შეხედულებები.[28]

საზოგადოებრივ ცრურწმენებსა და სიამაყეს დაფუძნებული შიშების მიღმა, ცალსახაა, რომ არ არსებობს არცერთი რაციონალური გამართლება ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვისა. სასამართლოს მკაცრი კონტროლის მიღმა, ქორწინება უნდა ასახავდეს სოციუმის ფუნდამენტურ საჭიროებებს და ყველა არსებულ შესაძლებლობას უნდა ანიჭებდეს თითოეულ ინდივიდს განურჩევლად მისი სექსუალური ორიენტაციისა.

---

[24] იქვე.

[25] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017, გვ 117.

[26] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ. 297.

[27] იქვე.

[28] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ. 305.

### *3. ერთი სქესის მქონე პირებისთვის ქორწინების უფლების მინიჭების მნიშვნელობა*

ლგბტ თემის წარმომადგენელთა არასახარბიელო უფლებრივი მდგომარეობა და მათი საზოგადოებრივი ასიმილაციის პროცესი მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი გარკვეულწილად პრობლემურ ხასიათს ინარჩუნებს. ჩვენი ქვეყნის ტრადიციებთან საზოგადოების დოგმატურ შეხედულებებთან და მენტალურ იდენტობასთან განსაკუთრებულად შეუთავსებელია მოცემული პროცესი, შესაბამისად მოვლენები საკმაოდ ნელა და დრამატულად ვითარდება. როგორც ნებისმიერი, ისე ქართული საზოგადოებაც პროგრესირების გარდაუვალ პერმანენტულ პროცესშია ჩაბმული, დღითიდღე იმატებს ლიბერალურად განწყობილ მოქალაქეთა რიცხვი , თუმცა ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ რასისტული დამოკიდებულება ჯერ კიდევ საკმაოდ მწვავე პრობლემაა და გასულ წლებში განვითარებული მოვლენები გვაძლევს იმის გარანტს , რომ ამ პრობლემის აღმოფხვრა ძირეული ცვლილებების განხორციელების გარეშე უპერსპექტივოა. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები თითქმის ყველა სფეროში აწყდებიან სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას, რაც პირდაპირ აქეზებს მათ მიმართ ძალადობას და ხელს უშლის მათ მიერ ზოგადად უფლებრივი სპექტრის პრაქტიკაში გამოყენების პროცესს.[29]

სხვადასხვა სახელმწიფოს პრაქტიკიდან იკვეთება, რომ ერთსქესიანთათვის ქორწინების უფლების მიუნიჭებლობა ემსახურება არამარტო მოსალოდნელი პრივილეგიებისა და სარგებლის მიუღებლობას არამედ ის მყარ სტრუქტურულ კავშირშია შვილად აყვანის ინსტიტუტთან.[30] გეი და ლესბოსელი წყვილები ბავშვთა არასასურველ აღმზრდელებად არიან მიჩნეულნი. პოპულისტური მოსაზრებაა, რომ ერთი სქესის მქონე წყვილებს პირველ რიგში, იმიტომ არ უნდა მიეცეთ ქორწინების უფლება, რომ მათ არ ქონდეთ შვილად აყვანის ინსტიტუტთან ხელმისაწვდომობა , ანდაც სხვა თანამედროვე სამედიცინო გზებით შვილის ყოლის საშუალება. მოცემულ მოსაზრებას ძირითადად იმ არგუმენტით ამყარებენ, რომ ასეთ ოჯახურ პირობებში ბავშვი არ შეიძლება აღზრდილ იქნას, როგორც წესიერი ინდივიდი. ასევე ხშირია აპელირება იმაზე, რომ ჰომოსექსუალი წყვილების უფლებას, აღზარდონ შვილები, შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ინდივიდისთვის არატიპური და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბება. ეს ნარატივი, ფაქტია, ძალიან მშრალია. მოცემულ საკითზე ჩატარებული

[29] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ , 2017, გვ 127.

[30] L. Silberman, "Same-Sex Marriage: Refining the Conflict of Laws Analysis." *University of Pennsylvania Law Review*, vol. 153, no. 6, 2005, pp. 2195–214, https://doi.org/10.2307/4150660. Accessed 30 Apr. 2022.

არცერთი კვლევა არ ადასტურებს ხსენებული არგუმენტაციის ვალიდურობას, მეტიც კვლევებმა აჩვენეს, რომ ჰომოსექსუალი მშობლები ზუსტად ისეთივე მზრუნველები, მოსიყვარულეები არიან და ზუსტად ისევე შეუძლიათ აიღონ საკუთარ თავზე მშობლის მთელი რიგი პასუხისმგებლობები, როგორც ნებისმიერ ჰეტეროსექსუალ წყვილს.[31]

ერთსქესიანთა ქორწინების ლეგიტიმურობა ძირითადად აღიარებულია, მაღალგანვითარებად დასავლურ ქვეყნებში (მსოფლიოს მასშტაბით 20-ზე მეტ სახელმწიფოში), სადაც ინდივიდთა უფლებრივი მდგომარეობა უმაღლეს რანგშია აყვანილი. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი სქესის მქონე პირთა ქორწინების საზოგადოებრივი მხარდაჭერა საკმაოდ მზარდი ტემპით მიმდინარეობს.[32] ევროპის კონტინენტზე ნიდერლანდებმა ისეთ ქვეყნებს მისცა ბიძგი გადაედგა მსგავსი ნაბიჯი და მოეხდინათ ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზება, როგორებიცაა ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი. [33] ასევე ამ სახელმწიფოთა რიგებშია: პორტუგალია, ისლანდია, ბრაზილია, ავსტრალია, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი, მექსიკა ,კოლუმბია, დანია, ბელგია და ა.შ. რიგ ქვეყნებში, მართალია, განხილული საკანონმდებლო ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა აღიარებულია ქორწინების თანასწორობა და თავისუფლად ცნობენ სხვა სახელმწიფოებში გაფორმებულ საქორწინო აქტებს (ესტონეთი, ისრაელი, სომხეთი). [34] ერთსქესიანთა ქორწინების იმპლემენტაციას ბევრი არსებითი მნიშვნელობის მატარებელი ეფექტი აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს კამპანია მკაფიოდ უსვამს ხაზს ჰომოსექსუალი წყვილების არსებობის ისეთივე ბუნებრივობას, როგორიც ჰეტეროსექსუალების შემთხვევაშია. მოცემულ ასპექტში არსებული უთანასწორობის დისკურსი განზრახ ბუნდოვანს ხდის ზოგადად ქორწინებასა და ინდივიდის სექსუალობას შორის ურთიერთმიმართებას, ერთსქესიანთა ქორწინება, კი პირიქით ხაზს უსვამს წყვილთა სექსუალურ ორიენტაციას, ქმნის უსაფრთხოებისა და ნდობით აღსავსე საზოგადოების წევრობის შეგრძნებას, დაანახებს წყვილებს იმ მნიშვნელოვან

[31] A. Avery, et al. "America's Changing Attitudes toward Homosexuality, Civil Unions, and Same-Gender Marriage: 1977-2004." *Social Work*, vol. 52, no. 1, 2007, p. 73, http://www.jstor.org/stable/23720709. Accessed 3 May 2022.

[32] R.Flores, Andrew, S. Barclay. "Trends in Public Support for Marriage for Same-Sex Couples by State." The Williams Institute at UCLA School of Law, 2015. http://www.jstor.org/stable/resrep34991. ( Accessed 30 Apr. 2022.)

[33] P. Festy , G. Rogers, "Legal Recognition of Same-Sex Couples in Europe." *Population (English Edition, 2002-)*, vol. 61, no. 4, 2006, p. 417–53, http://www.jstor.org/stable/30042132. Accessed 30 Apr. 2022.

[34] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ.303.

შესაძლებლობათა ფართო სპექტრს, რომელთა აღმოჩენის პერსპექტივებიც მათ საზოგადოებრივი ასიმილაციის სხვადასხვა ეტაპზე ეძლევათ[35].

სხვადასხვა სახელმწიფოს სამართალში ერთსქესიანთა ქორწინებას ინდივიდთათვის შესაძლოა ჰქონდეს, როგორც რადიკალურად განსხვავებული, ასევე ერთმანეთის მსგავსი სარგებელი. ამ ფართო არგუმენტების ჩამონათვალში შეიძლება მოვიაზროთ: სოციალური უზრუნველყოფა, მემკვიდრეობითი სარგებელი, საერთო საგადასახადო უფლებები, მუდმივი მინდობილობის უფლებებიც როდესაც ერთი პარტნიორი საავადმყოფოშია მოთავსებული[36] ასევე ეს შეიძლება იყოს საგადასახადო შეღავათები, მიწის საკუთრება, ქონების წარმოშობა და განაწილება , ოჯახური კომუნიკაციების აგრეთვე საშინაო ურთიერთობების კანონისმიერი დაცვა. [37] ზოგიერთ ქვეყანაში კანონიერი ქორწინების ერთ-ერთ მთავარ სარგებლადაა მიჩნეული რთული ეკონომიკური მდგომარეობის დროს სახელმწიფოებრივი დახმარების ნაკლები საჭიროება, ამის საფუძვლებს ქმნის მსგავსს პერიოდებში წყვილების მიერ ფინანსური ურთიერთდახმარების მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი. გადასახადებთან დაკავშირებული სარგებელი ორმხრივია, წყვილები ხშირად ერთად იხდიან იმას, რაც ცალ-ცალკე უნდა გადაეხადათ.[38]რიგ სახელმწიფოებში კი ერთსქესიანთა ქორწინების დაშვების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და არსებით ასპექტადაა აღქმული ის მყარი ემოციური კავშირები და მიჯაჭვულობა, რომლებიც წყვილებს ერთმანეთის მიმართ აქვთ.[39] საინტერესოა, რა ფუნდამენტურ ცნებებსა და სამართლებრივად მნიშვნელოვან მექანიზმებს ეხება ქართული საოჯახო სამართალი. პირველ რიგში, ხაზგასასმელია ის, რომ ქორწინების სამართლებრივი რეგისტრაცია მოქალაქეებს უქმნის მათი ურთიერთობის საზოგადოებრივი ვალიდაციის მკაფიო შეგრძნებას, რაც ქართველი ხალხისთვის ჯერ კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ღირებულებაა. ასევე ყურადსაღებია სამოქალაქო კოდექსში საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის თავებში მოწესრიგებული შემდეგი ცნებები: კანონით დადგენილი ქონებრივი

---

[35] M. BERNSTEIN, "SAME-SEX MARRIAGE AND THE FUTURE OF THE LGBT MOVEMENT: SWS Presidential Address." *Gender and Society*, vol. 29, no. 3, 2015, p. 323, http://www.jstor.org/stable/43669974. Accessed 29 Apr. 2022.

[36] A. Stroll, "A Defense of Same-Sex Marriage." *Public Affairs Quarterly*, vol. 23, no. 4, 2009, p. 350, http://www.jstor.org/stable/40441540. Accessed 30 Apr. 2022.

[37] P. CHARLES, JR. KINDREGAN,"THE EVOLUTION OF SAME-SEX MARRIAGE." *Family Advocate*, vol. 32, no. 3, 2010, p. 8–9, http://www.jstor.org/stable/25806836. Accessed 29 Apr. 2022.

[38] D. MALAKOFF, "Marriage Decision Highlights Same-Sex Studies." *Science*, vol. 335, no. 6070, 2012, p. 787–88, http://www.jstor.org/stable/41487254. Accessed 1 May 2022.

[39] D. L Chambers, "What If? The Legal Consequences of Marriage and the Legal Needs of Lesbian and Gay Male Couples." *Michigan Law Review*, vol. 95, no. 2, 1996, p. 454, https://doi.org/10.2307/1290119 . Accessed 3 May 2022.

უფლებები და მოვალეობები (თანასაკუთრება, ინდივიდუალური საკუთრება, მეუღლის ქონების გადაქცევა თანასაკუთრებად და ა.შ.) ,მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლებისა და შვილების ურთიერთობანი, ასევე მშობელთა უფლებები და მოვალეობები შვილის მიმართ, საალიმენტო ვალდებულებები, მემკვიდრეობის ინსტიტუტი, რომელიც მჭიდრო პირდაპირ ჯაჭვურ კავშირშია ზოგადად ოჯახის ინსტიტუტთან. ეს მხოლოდ მოკლე და ზედაპირული ჩამონათვალია იმ სამართლებრივი ასპექტებისა, რომლებიც სამოქალაქო კოდექსში დეტალურადაა მოწესრიგებული და რომლებიც ასე დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშასადამე მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდისათვის. ამ ყველაფრის ფონზე ნუთუ კანონმდებელმა უნდა აუკრძალოს წყვილებს ქორწინების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებლის მიღების პერსპექტივა მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ მათ იდენტური სქესი აქვთ?[40]. ფაქტია, ქორწინების ცნება გასცდა რელიგიურ საწყისებს, სამართლის ნორმებმა დაქორწინებულ ინდივიდს მიანიჭა ბევრად მეტი სოციალური უფლებამოსილება ,ვალდებულება და გარანტიები მრავალ ასპექტში. გამომდინარე აქედან, თამამად შეიძლება აპელირება შემდეგზე: თანამედროვე ქორწინება ესაა ის ძალიან მნიშვნელოვანი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ძირითადი თანასწორობის პრინციპები მოითხოვს, რომ მისი სამოქალაქო სარგებელი იყოს არადისკრიმინაციული.

ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა , რომ არ არსებობს არავითარი არსებითი განსხვავება ჰომოსექსუალ და ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის ურთიერთობათა სიძლიერის, სიყვარულის თუ სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან მიმართებით.[41] მაშასადამე, ჰომოსექსუალთა კოჰაბიტაციაც ზუსტად ისეთივე მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს საზოგადოებისათვის, როგორც ქალისა და მამაკაცის სამართლებრივი კავშირი.

ნებისმიერ სოციუმს გააჩნია გარკვეული წესების კომპლექსი, რომელთაგანაც ზოგიერთი ლატენტურია , ზოგიც კი პირიქით- ექსპლიციტურადაა გამოხატული. თუმცა ამავდროულად ხაზგასასმელია ისიც, რომ ინდივიდებს აქვთ განსხვავებული ინტერესები და საჭიროებები ამიტომაც იმ დოგმათა სისტემა, რომელსაც თითოეული ცივილიზაცია ეყრდნობა, მიმართული უნდა იყოს არსებული განსხვავებული ინტერესების მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ. ამისათვის კი საჭიროა კანონმდებელმა შესაბამის ნორმებში მკაფიოდ გაუსვას ხაზი ლეგალურ ქმედებათა სპექტრს.

[40] G. Jeffrey Gibson,. "To Love, Honor, and Build a Life: A Case For Same-Gender Marriage." *Human Rights*, vol. 23, no. 3, 1996, p. 22, http://www.jstor.org/stable/27879994 . Accessed 30 Apr. 2022.

[41] J. Cherlin, Andrew. "Health, Marriage, and Same-Sex Partnerships." *Journal of Health and Social Behavior*, vol. 54, no. 1, 2013, p. 64, http://www.jstor.org/stable/43186835 . Accessed 29 Apr. 2022.

მაშასადამე, თითქმის ყველა მზარდი და პროგრესირებადი საზოგადოების საწყისი პრინციპი არის და უნდა იყოს თითოეული მოქალაქისათვის ნებისმიერი შესაძლებლობის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუ, რა თქმა უნდა, გარკვეულ დიფერენციაციას საფუძვლად არ უდევს შესაბამისი, სამართლებრივად ლოგიკური, თანაზომიერი, აუცილებელი საწყისები.[42]

## დასკვნა

თითოეული ინდივიდის თანასწორუფლებიანობა და სექსუალური ორიენტაციის ან სხვა ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა კონსტიტუციის ფუნდამენტური ცნებებია. განხილულ ნაშრომში როგორც ქართული ასევე უცხოური პრაქტიკის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქორწინება, მხოლოდ წყვილის კავშირის კანონიერი გაფორმება არაა, მკაფიოდ გამოიკვეთა თუ რამხელა სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, კერძოდ, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს რიგით მოქალაქეს კანონიერმა ქორწინებამ. გასაგებია ყველა განხილული ისტორიული და დოგმატური აღქმა, ზოგადად ქორწინების ინსტიტუტს მჭიდრო კავშირები რელიგიასთან, თუმცა ხაზგასასმელია ისიც, რომ სამყარო მუდმივი განვითარების პროცესშია და ამ პერმანენტულ ციკლში მოექცა ქორწინების ინსტიტუტის არსიც. დროებამ საზოგადოებაში ახალი ღირებულებები და ფასეულობები დანერგა, შესაბამისად საჭიროა მოცემულმა სამართლებრივმა ინსტიტუტმა იმისათვის , რომ საკუთარი ძირეული შინაარსი არ დაკარგოს ფეხი აუწყოს ამ გარდაუვალ პროცესებს და ღირსეულად უპასუხოს საზოგადოების ნებისმიერ საჭიროებას. ერთი სქესის მქონე წყვილებს სწორედ ისე სჭირდებათ ემოციური და ეკონომიკური სტაბილურობა როგორც ჰეტეროსექსუალებს და ამ შესაძლებლობის მათთვის მინიჭებით მთლიანი საზოგადოებაც იღებს სარგებელს. [43] 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილების სამართლებრივმა ანალიზმა ცხადყო თუ როგორ გადათელა ნორმათშემოქმედმა ჰომოსექსუალთა ისედაც შეზღუდული უფლებები, მკაფიოდ გამოკვეთა, თუ მომავალში რამდენად დააზარალებს მოცემული ცვლილება საზოგადოებრივი მენტალური განვითარების პროცესს, ასევე სამწუხაროა ისიც, რომ კანონმდებელმა ამ ცვლილებით მომავლის პესპექტივაში არსებულ პოტენციურ დავებსა და დისკუსიებს ამოუქოლა ყველანაირი გზა. ამდენად, თამამად შეიძლება აპელირება იმაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციაში განზრახ განხორციელებული განხილული ცვლილება

[42] A. Rajczi. "A Populist Argument for Legalizing Same-Sex Marriage." *The Monist*, vol. 91, no. 3/4, 2008, p. 476, http://www.jstor.org/stable/27904095 . Accessed 3 May 2022.

[43] G. Jeffrey Gibson,. "To Love, Honor, and Build a Life: A Case For Same-Gender Marriage." *Human Rights*, vol. 23, no. 3, 1996, p. 24, http://www.jstor.org/stable/27879994 . Accessed 30 Apr. 2022.

ზოგადად კონსტიტუციის უპირველს და ამოსავალ მიზანზე, უზრუნველყოს თითოეული ინდივიდის ღირსების დაცვა, ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ძალადობის ძალიან სამწუხარო და მკაფიო ნიმუშია.[44]

ზემოხსენებულ ნაშრომში ასევე განვიხილეთ ზოგადად ლგბტ თემის უფლებრივი მდგომარეობა და გამოვკვეთეთ იმ უსაფუძვლო არგუმენტების ვიწრო სპექტრი, რომლებზეც მერყევადაა დაშენებული ერთსქესიანთა ქორწინების მიუღებლობა. მათ შორის ერთ-ერთი მთავრია შვილის ყოლის პრობლემატიკა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით არსებული შეხედულებების ფონზე, ნამდვილად პრობლემურია გეი და ლესბოსელი წყვილების აღსაზრდელი ბავშვების ბულინგი და საზოგადოებრივი ინტეგრაცია, [45] თუმცა მოცემული ხარვეზის აღმოფხვრის გზას არანაირად არ უნდა წარმოადგენდეს ერთსქესიანთა ქორწინების დაშვების პერსპექტივისთვის საფუძვლების გამოცლა, პირიქით, პრობლემის აღმოფხვრის გზა უნდა იყოს საზოგადოებრივ მენტალობაზე მთავარი ორიენტირის გაკეთება, კერძოდ, განათლების უფრო ფართომასშტაბიანი პროპაგანდა, მოქალაქეთა ცნობიერების, თვითშეგნების ამაღლების შედეგად უფრო მეტი ინდივიდის ძალადობრივი სულისკვეთების განმუხტვა და ერთიანი ლიბერალური შემართებისა და კურსის მქონე მყარი სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება, სადაც დიდი სიხარულით მიიღებენ და შეიწყნარებენ, როგორც კანონიერ ქორწინებაში მყოფ ერთი სქესის წარმომადგენელ პირებს, ასევე მათ აღსაზრდელებს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგადად ქართველი ერის ეროვნულ სულისკვეთებასთან, ისტორიულ წარსულთან, კულტურასა და საზოგადოებრივ მენტალურ ფონთან განსაკუთრებით შეუსაბამოა მოცემული ინსტიტუტის იმპლემენტაცია, თუმცა ეს ყოველივე არ უნდა წონიდეს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის უზენაესობას და საფუძვლებს არ უნდა უქმნიდეს ამ კუთხით უკან გადადგმული ნაბიჯების ნორმალიზებასა და წაქეზებას. ცალსახაა, ისიც, რომ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, კონსტიტუციაში ანდაც სამოქალაქო კოდექსში არსებული დათქმების ერთი ხელის მოსმით შეცვლა და ლიბერალიზაციაც არ იქნებოდა მართებული და მომგებიანი, ეს გამოიწვევდა სოციუმის საკმაოდ ფართო მასების უკმაყოფილებას და საზოგადოებრივ დესტაბილიზაციას. ამ პრობლემის მიჯნაზე საუკეთესო გადაწყვეტილება იქნებოდა კონსტიტუციის 30-ე მუხლის

[44] ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის, თბილისი, 2020, გვ 304.

[45] A. Avery, et al. "America's Changing Attitudes toward Homosexuality, Civil Unions, and Same-Gender Marriage: 1977-2004." *Social Work*, vol. 52, no. 1, 2007, p. 73, http://www.jstor.org/stable/23720709 . Accessed 3 May 2022

ხელშეუხებლობა, მომავლის პერსპექტივებში პოტენციური საკონსტიტუციო დავის დატოვება.

## ბიბლიოგრაფია


1. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 26/06/1997
2. გ.რუსიაშვილი, თ. ბიგვავა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი VII , საოჯახო სამართალი, თბილისი, 2021.
3. რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, მერიდიანი, 2017.
4. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017.
5. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ , 2017.
6. ქ. ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისათვის,თბილისი, 2020.
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N 2/11/714 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე-გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტისა წინააღმდეგ.
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივლისის N1/2/458 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ.
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის N2/2/425 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
10. A. Avery, et al. “America’s Changing Attitudes toward Homosexuality, Civil Unions, and Same-Gender Marriage: 1977-2004.” Social Work, vol. 52, no. 1, 2007, p. 73, http://www.jstor.org/stable/23720709. Accessed 3 May 2022.
11. A. Rajczi. “A Populist Argument for Legalizing Same-Sex Marriage.” The Monist, vol. 91, no. 3/4, 2008, http://www.jstor.org/stable/27904095. Accessed 3 May 2022.
12. A. Stroll, “A Defense of Same-Sex Marriage.” Public Affairs Quarterly, vol. 23, no. 4, 2009, http://www.jstor.org/stable/40441540. Accessed 30 Apr. 2022.
13. D. L Chambers, “What If? The Legal Consequences of Marriage and the Legal Needs of Lesbian and Gay Male Couples.” Michigan Law Review, vol. 95, no. 2, 1996, https://doi.org/10.2307/1290119. Accessed 3 May 2022.
14. D. MALAKOFF, “Marriage Decision Highlights Same-Sex Studies.” Science, vol. 335, no. 6070, 2012, http://www.jstor.org/stable/41487254. Accessed 1 May 2022.

15. G. Jeffrey Gibson,. "To Love, Honor, and Build a Life: A Case For Same-Gender Marriage." Human Rights, vol. 23, no. 3, 1996, http://www.jstor.org/stable/27879994. Accessed 30 Apr. 2022.
16. J. Cherlin, Andrew. "Health, Marriage, and Same-Sex Partnerships." Journal of Health and Social Behavior, vol. 54, no. 1, 2013, http://www.jstor.org/stable/43186835. Accessed 29 Apr. 2022.
17. L. Silberman, "Same-Sex Marriage: Refining the Conflict of Laws Analysis." University of Pennsylvania Law Review, vol. 153, no. 6, 2005, https://doi.org/10.2307/4150660. Accessed 30 Apr. 2022.
18. M. BERNSTEIN, "SAME-SEX MARRIAGE AND THE FUTURE OF THE LGBT MOVEMENT: SWS Presidential Address." Gender and Society, vol. 29, no. 3, 2015, http://www.jstor.org/stable/43669974. Accessed 29 Apr. 2022.
19. N. Steven L, "Time and Gender in Marriage." Virginia Law Review, vol. 86, no. 8, 2000, https://doi.org/10.2307/1073834. Accessed 29 Apr. 2022.
20. P. CHARLES, JR. KINDREGAN,"THE EVOLUTION OF SAME-SEX MARRIAGE." Family Advocate, vol. 32, no. 3, 2010, http://www.jstor.org/stable/25806836. Accessed 29 Apr. 2022.
21. P. Festy , G. Rogers, "Legal Recognition of Same-Sex Couples in Europe." Population (English Edition, 2002-), vol. 61, no. 4, 2006, http://www.jstor.org/stable/30042132. Accessed 30 Apr. 2022.
22. R.Flores, Andrew, S. Barclay. "Trends in Public Support for Marriage for Same-Sex Couples by State." The Williams Institute at UCLA School of Law, 2015. http://www.jstor.org/stable/resrep34991. ( Accessed 30 Apr. 2022.)
23. S. Brook, "Re-Thinking Civil Unions and Same-Sex Marriage." The Monist, vol. 91, no. 3/4, 2008, http://www.jstor.org/stable/27904099. Accessed 3 May 2022.